

განაწილების შესაბამისი გადაწყვეტილება არსებობს. ამდენად, ამ შედეგის რომელიმე ფაქტის დადგომაზე დამოკიდებულება იმპერატიული გადაწყვეტის გვერდის ავლის საშუალებაა, რაც სამართლებრივი ძალის არმქონედ უნდა იყოს მიჩნეული.

ნინო ქავშბაია

► 5 – 3/2020

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 დეკემბრის განჩინება №ა-4173-ბ-11-2019

სკ-ის 1201 II მუხლი; სსკ-ის 422 I მუხლი

1. სკ-ის 1201 II მუხლი არ ვრცელდება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ფარგლებში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაზე.

2. სსკ-ის 422 I მუხლის გ) ქვეპუნქტის მიხედვით კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობის უფლება აქვთ პირებს, რომელთაც მატერიალურსამართლებრივი ნორმის თანახმად გააჩნიათ მოთხოვნის უფლება (მოსარჩელე), ეკისრებათ პასუხისმგებლობა (მოპასუხე) ან აქვთ დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით).

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

I. ფაქტობრივი გარემოებები

პირმა სარჩელი აღძრა ბავშვების საცხოვრებელი ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ალიმენტის და-

კისრების მოთხოვნით, მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მოითხოვა ბავშვების საცხოვრებელ ადგილად მამის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანის აკრძალვის მოხსნა. რუსეთის ფედერაციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბავშვების საცხოვრებლად განისაზღვრა დედის საცხოვრებელი ადგილი და მოპასუხეს დაეკისრა საალიმენტო ვალდებულება. მოსარჩელემ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულება ბავშვების საცხოვრებელ ადგილად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში. შუამდგომლობის განხილვის პროცესში მხარეებმა წარადგინეს მორიგების აქტი, რომელიც სასამართლომ დაამტკიცა და საქმის წარმოება შეწყვიტა.

მოსარჩელის წარმომადგენელმა მოითხოვა მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების ბათილობა და საქმის წარმოების განახლება იმაზე მითითებით, რომ სამართალწარმოებაში ჩართული არ ყოფილა სოციალური მომსახურების სააგენტო, სკ-ის 1201 II მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ. განცხადებაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული განჩინების ბათილობის საფუძველი იყო სსკ-ის 422 I მუხლის ბ) და გ) ქვეპუნქტები. ამასთან, განმცხადებლის აზრით, უზენაესმა სასამართლომ შეცვალა რუსეთის ფედერაციის სასამართლოს გადაწყვეტილება (მორიგების შინაარსი ითვალისწინებდა მშობლები-სა და არასრულწლოვანი შვილების ურთიერთობის მომწესრიგებელ მითითებს, მათ შორის, განმცხადებელს დაევალა განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება - სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდებიდან კონკრეტული ინფორმაციის წაშლა) და ამით საკითხზე საკუთარი პირდაპირი კომპეტენცია დაადგინა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ განიხილა რუსეთის ფედერაციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხი მხოლოდ იმ ნაწილში, რომლითაც განისაზღვრა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილი, რაზეც სკ-ის 1201 II მუხლი ვერ გავრცელდებოდა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის მითითება სსკ-ის 422 I მუხლის გ) ქვეპუნქტის განჩინების ბათილობის საფუძვლის არსებობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ აღნიშნული დანაწესით აქტის ბათილობის მოთხოვნის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც მატერიალურსამართლებრივი ნორმის თანახმად გააჩნიათ მოთხოვნის უფლება (მოსარჩელე), ეკისრებათ პასუხისმგებლობა (მოპასუხე) ან აქვთ დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). ასეთი პირები იმგვარად არიან დაკავშირებულნი სადავო სამართალურთიერთობასთან, რომ სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ გავლენას ახდენს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე მათ უფლებებსა და ინტერესებზე. სსკ-ის 422 I მუხლის გ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტში იგულისხმება არა ის პირი, რომელიც შესაძლებელია საქმეში ჩაბმული ყოფილიყო მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, არამედ პირი, რომელიც არის პოტენციური

მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით.

ნინო ქავშაია

► 6 – 3/2020

ზიანის ანაზღაურება სარჩელის უშედეგო უზრუნველყოფის გამო

უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება № ას-1216-1136-2017

სსკ-ის 199 III მუხლი

1. სარჩელის უზრუნველყოფის გაუმართლებლობის გამო ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 199 III მუხლის მიხედვით დელიქტური ვალდებულების დამფუძნებელი კერძო შემადგენლობაა.

2. ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობად საკუთრების საჯარო რეგისტრაციის მიჩნევა დაუშვებელია. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

I. ფაქტობრივი გარემოებები

კრედიტორმა (შედგომში - თავდაპირველი მოსარჩელე) სარჩელი აღძრა ძირითადი მოვალისა და თავდები პირების წინააღმდეგ, ხოლო ამ სამართალწარმოების ფარგლებში ყადაღა დაედო ერთ-ერთი თავდების ქონებას (პირველ, მეორე და მესამე უძრავ ნივთებს). სასამართლომ თავდებობა არარად მიიჩნია და სარჩელი დააკმაყოფილა მხოლოდ ძირითადი მოვალის მიმართ. იმ თავდებმა პირმა, რომლის ქონებაც დაყადაღებული იყო დავის განმავლობაში, აღძრა სარჩელი თავდაპირველი მოსარჩე-